

## ფინანსური მდგომარეობა

### ფინანსური მდგომარეობა

|                                                             | 31/12/2019 | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|-------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 220115     | 11105      | 17185      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 36674      | 41177      | 34863      |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 0          | 0          | 0          |
| მარაგები                                                    | 0          | 0          | 69         |
| მზა პროდუქცია                                               | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                        | 0          | 0          | 69         |
| საინვესტიციო ქონება                                         | 0          | 0          | 0          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 0          | 0          | 0          |
| ბიოლოგიური აქტივები                                         | 0          | 0          | 0          |
| თვითღირებულების მოდელით                                     | 0          | 0          | 0          |
| გადაფასების მოდელით                                         | 0          | 0          | 0          |
| გუდვილი                                                     | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 0          | 0          | 0          |
| ძირითადი საშუალებები                                        | 2172929    | 2238376    | 2311174    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                           | 0          | 0          | 0          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში         | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                  | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                | 2429718    | 2290658    | 2363291    |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                         | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 858        | 1660       | 640        |
| ანარიცხები                                                  | 0          | 0          | 0          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 0          | 0          | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 0          | 85         | 356        |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                  | 0          | 0          | 0          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                             | 228460     | 117770     | 228114     |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 0          | 0          | 0          |
| მიღებული გრანტები                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                          | 0          | 0          | 0          |
| სულ ვალდებულებები                                           | 229318     | 119515     | 229110     |

### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                             |         |         |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 2114549 | 2059729 | 2059729 |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0       | 0       | 0       |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0       | 0       | 0       |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 85851   | 111414  | 74452   |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0       | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0       | 0       | 0       |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 2200400 | 2171143 | 2134181 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 2429718 | 2290658 | 2363291 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 256789  | 52283   | 52117   |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 229318  | 119515  | 229110  |

### საქმიანობის შედეგები

#### საქმიანობის შედეგები

|                              | 31/12/2019 | 31/12/2018 |
|------------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები               | 239783     | 350898     |
| საქონლის გაყიდვიდან          | 0          | 0          |
| მომსახურების განწევრიდან     | 205851     | 319618     |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0          | 0          |
| სხვა                         | 33932      | 31280      |
| გაყიდვების თვითღირებულება    | -13985     | -18057     |
| საწყისი მარაგები             | 0          | -69        |
| მარაგების შესყიდვა           | 0          | -17988     |
| გადამუშავების დანახარჯები    | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები             | 0          | 0          |
| საერთო მოგება                | 225798     | 332841     |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი   | 0          | 0          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება     | -100397    | -115776    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი   | -65447     | -72797     |
| საპროცენტო შემოსავალი        | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი             | -6025      | -14965     |
| იჯარის ხარჯი                 | 0          | 0          |

|                                                                                                     |         |         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                            | -79492  | -92341  |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                              | -251361 | -295879 |
| საოპერაციო მოგება                                                                                   | -25563  | 36962   |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                                              |         |         |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                  | 0       | 0       |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                            | 0       | 0       |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                          | 0       | 0       |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან      | 0       | 0       |
| მიღებული დივიდენდები                                                                                | 0       | 0       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                             | 0       | 0       |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                            | -25563  | 36962   |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                           | 0       | 0       |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                                              | -25563  | 36962   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                                            |         |         |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                         | 0       | 0       |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და       | 0       | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                              | 0       | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                 | -25563  | 36962   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                 | 2171143 | 2134181 |
| ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კა | 54820   | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                      | 0       | 0       |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                               | 0       | 0       |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                           | 0       | 0       |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                      | 2200400 | 2171143 |

#### ფულადი სახსრების მოძრაობა

|                                                                                               |                   |                   |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                              | <b>31/12/2019</b> | <b>31/12/2018</b> |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნა  | 209010            | -6080             |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი | 0                 | 0                 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკად | 0                 | 0                 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                            | 209010            | -6080             |

|                                                                         |        |       |
|-------------------------------------------------------------------------|--------|-------|
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე  | 0      | 0     |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 11105  | 17185 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს      | 220115 | 11105 |

## შპს „ახალი ვენეცია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ახალი ვენეცია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03.06.2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი. ხულოსქ.6  
კომპანიის ღირეფტორი: - ნატალია კობალაძე,

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

#### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც განეულ იქნა.

### **მოგების გადასახადი**

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**ბანკის სესხები და ოვერდრაფტები**

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

**დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები**

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

|                                       |          |
|---------------------------------------|----------|
|                                       | 4        |
|                                       | 2019     |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 13984.84 |

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შენონილი მეთოდით.

|                      |   |          |
|----------------------|---|----------|
|                      | 5 |          |
|                      |   | 2019     |
| ცვეთა და ამორტიზაცია |   | 65446.73 |

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

|              |   |      |
|--------------|---|------|
|              | 6 |      |
|              |   | 2019 |
| იჯარის ხარჯი |   |      |

იჯარის ხარჯი აღიარდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში.

|                                                        |   |       |
|--------------------------------------------------------|---|-------|
|                                                        | 7 |       |
|                                                        |   | 2019  |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან |   | 10182 |

სხვაობა სავალუტე ანგარიშების გადაფასების მოგებასა და ზარალს შორის.

|                      |   |         |         |
|----------------------|---|---------|---------|
|                      | 8 |         |         |
|                      |   | 2019    | 2018    |
| ძირითადი საშუალებები |   | 2172929 | 2238376 |

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით.

|                       | 2019 | 2018 |
|-----------------------|------|------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 858  | 1660 |

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი შესყიდვებიდან და აგრეთვე არარეზიდენტის მიერ მოწოდებული მომსახურების ან/და საქონლის შეძენისგან.

## 9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 30 სექტემბერს.